

სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედების გამოწვევები

ელენე იოსავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ლეკიშვილი



თბილისი

2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე იოსავა

20/06/2025

აბსტრაქტი

აკადემიური ნაშრომის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მარტოხელა სოციალურად დაუცველი დედები, რომელთაც 2-დან 6 წლამდე ასაკის შვილი/შვილები ჰყავთ. საქართველოში მარტოხელა სოციალურად დაუცველი დედების ჯგუფი მოწყვლადობის მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა. აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს მარტოხელა სოციალურად დაუცველი დედების პრობლემები და საჭიროებები და ამასთან, როგორ პასუხობს დღეს არსებული ოჯახის გაძლიერების პროგრამები მათ გამოწვევებს. აგრეთვე, ადამიანის და ბავშვის ძირითადი უფლებების გაანალიზების მიზნით ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებათა კოდექსი და ბავშვის უფლებათა კონვენცია, საუბარია მათ შორის ურთიერთკავშირსა და განსხვავებაზე. ნაშრომი განიხილავს ბავშვის ადრეული განვითარების ეტაპებსა და მიჯაჭვულობის თეორიებს. წარმოდგენილია საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში (სკანდინავიური ქვეყნები, საფრანგეთი) მოქმედი ოჯახის გაძლიერების პროგრამები. აღნიშნულის გარშემო მიმდინარე მსჯელობა იძლევა საშუალებას შეფასდეს ამ პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდის ერთ-ერთი ფორმა, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის ფარგლებში დაგეგმილ სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღო 10-მა სოციალურად დაუცველმა მარტოხელა დედამ, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩნენ, “ოჯახის გაერთიანების მიზნით კრიზისული დახმარების” მიმღები 60 ბენეფიციარებიდან.

მიუხედავად მონაწილეების რაოდენობისა, კვლევის შედეგმა უპასუხა საკვლევ კითხვებს და გამოკვეთა ძირითადი პრობლემები და საჭიროებები, რომლის წინაშეც დგანან მარტოხელა დედები და მათი შვილები.

Abstract

The target group of the academic paper is single socially vulnerable mothers with child(ren) aged 2 to 6. In Georgia, the group of single socially vulnerable mothers is one of the most vulnerable in terms of vulnerability. Therefore, the aim of this paper is to identify the problems and needs of socially vulnerable single mothers and, at the same time, how existing family strengthening programs respond to their challenges. Also, in order to analyze the fundamental rights of humans and children, the paper discusses the Human Rights Code and the Convention on the Rights of the Child, discussing the interconnections and differences between them. The paper discusses the stages of early child development and attachment theories. Family strengthening programs operating in Georgia and European countries (Scandinavian countries, France) are presented. The ongoing discussion around this allows us to assess the positive and negative aspects of these programs.

One form of qualitative research method, namely in-depth interviews, was used for the study. Ten socially vulnerable single mothers, who were randomly selected from 60 beneficiaries of the “Crisis Assistance for Family Reunification,” participated in the in-depth interviews planned as part of the study.

Regardless of the number of participants, the results of the study answered the research questions and identified the main problems and needs faced by single mothers and their children.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან ლევიშვილს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული უდიდესი მხარდაჭერის, გვერდში დგომისა და გამხნეებისთვის. ასევე მადლობას მინდა გადავუხადო ჩემს ლექტორს, პროფესორს, ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს სასწავლო პროცესში გაწეული დახმარებისა გვერდში დგომისთვის.

ბოლოს მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტს ნდობისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარებისთვის.